სამშობლო

სამშაბათი
7 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელ 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულს ნაშუადღევის 2 საათ. დღის 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 304 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 304

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილთ მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„სამშობლო“-ზე
ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.
გაზეთი გამოვა
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.
წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“.

კონსტანტინე ივანეს ძე, ივანე პავლეს ძე და მარიამ ანტონის ასული ხოჯაშვილები შვილებითურთ გულითად მადლობას სწირავენ ყველა იმ პირს, ვინც პირადი დასწრებით, წერილობით, თუ დეპეშებით პატივი სცეს და ანუგეშეს იგინი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინას

82 უეცრათ გარდაცვალების გამო 2—1

ს.|ს. ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ
მიიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი
ხ. ხრისტოდულიდის.
მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.
დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ქალაქი ქუთაისი წარმოდგენა № 29 ქალაქის თეატრი
თბილისის ანსამბლის დრამის მსახიობთა მიერ
სამშაბათს, 8 მარტს
ახლად მოწვეულ მსახიობთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
პოტაშო და პერლამუსი.
კომედია სამ მოქ. საბუროვისა.
კომედიას დადგამს ვ. ი. იავორსკი. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
ანონსი: მზადდება წარმოსადგენათ „ველურის კანონი“.

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

თ-დი გიგო ივანეს ძე ერისთავი

უმორჩილესად სთხოვს ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობას, რათა დაესწრონ ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის ჩვეულებრივ

კრებას,

რომელიც დანიშნულია 13 ამა მარტს დილის **10 საათზე**, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში სიების დასამტკიცებლათ და სხვა მორიგ საკითხების განსახილველათ.

ეს კრება დანიშნული იყო 13 იანვარს და 6 მარტს, მაგრამ კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

85 1—1

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი.
ორშაბათიდან, 7 მარტიდან ახალი პროგრამა:
ანდრია ტობოლცევი.
მეორე სერია ვერბიცკის ცნობილ რომანიდან სული დროისა ხუთ. ნაწილად.
შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა:—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ. ჯარისკაცისთვის მესამე ადგილი—20 კ.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი
ორშაბათიდან, 7 მარტიდან ახალი პროგრამა:
იყვნენ დღენი ბრწყინვალე ბედნიერებისა და ეს ბედნიერება გაქრა.
ძლიერი დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან 3 ნაწ. ცნობილ იტალიელ ქალის ესნერის მონაწილეობით.
შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ. მოსწავლეთათვის მეორე ადგილი 30 ჯარისკაცთათვის მესამე ადგილი 20 კ.

დაიბეჭდა და გასაყიდად დაურიგდა თ. მთავრიშვილის და ამხ. მიერ გამოცემული ს. გ. გორგაძის თხზულება
ქართული მართლწერა
ფასი 40 კაპ. წიგნი იყიდება ქუთაისში—გამომცემლის წიგნის მაღაზიაში, თბილისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიასა და ს. მერკვილაძესთან, ხონში მინა ჭავჭანიძესთან.
81 10—1

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.
1 თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი № 46
14 ტელეფონი № 87 თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი სნეულებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ. 2

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლ, ავათმყოფების მიღება (ქალ-ურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა დ. ბალახვანის ქ. კუთხე, სახ. № 3. თ. 11

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ბორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქერს ახალი გამოსული „წამლის საშვალებით. ქერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გუნზელის ქუჩა ლორთქიფანიძის სახლი. თ 3

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

4 მარტი. დრისვიატის სამხრეთით გერმანელებმა მაღლობი ააფეთქეს გერმანელები დაბა ტვერეჩზე როგიჩის ტბის დასავლეთით იერიშით წამოვიდენ, მაგრამ რუსებმა არტილერიის ცეცხლით უკუაგდეს. ლიბსკის რაიონში ვიგონოვის ტბის სამხრეთით მოწინააღმდეგე წინ წამოწევას შეეცადა, მაგრამ რუსებმა შეაჩერეს.

რიგის ნაწილში მოწინააღმდეგე მძლავრ საარტილერიო ბრძოლას აწარმოებდა. იაკობშტადტის რაიონში საარტილერიო სროლა იყო, ვიძეს ხაზზე რუსთა არტილერიამ გერმანელთა თხრილებს დაუშინა ვიძესთან, ტვერეჩის ჩრდილოეთით, გერმანელები შემოტევაზე გადვიდენ, მაგრამ შეჩერებულ იქნენ. ზემო სტრიპის ნაწილში რუსების მზვერავებმა გერმანელთა თხრილები დაიპყრეს.

შავ ზღვაზე.

ბულგარეთის სანაპიროებთან რუსეთის ნაღმოსნებმა ჩასძირეს ბენზინით დატვირთული გემი. რუსების ნაღმოსნებს ოსმალეთის აეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ უშედეგოთ. გემის შემადგენლობა რუსებმა ტყვეთ წამოიყვანეს.

კავკასიის ასპარეზი.

რუსის ჯარმა წინსვლის დროს დაიკავა სოფელი ქონთიური, რომელიც მამახათუნაპრის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. საკონტრიერიშოთ წამოსული მტერი რუსებმა დასავლეთისკენ გარეკეს.

ოსმალთა დევნის დროს რუსებმა შაჰანთუნის რაიონში ორი მძიმე ზარბაზანი იგდეს ხელთ.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საბერძნეთიც დაიძრა

ბერძნების ოფიციოზი „ემროსი“ იტყობინება კავალაში საბერძნეთის ჯარს აგზავნისო. კავალა როგორც წინა ცნობიდან ვიცით, მოკავშირეებს უნდოდათ დაეკავებინათ.

რუმინეთის სამხედრო ძალა.

გაზეთ „მატენის“ ცნობით, რუმინეთის ჯარი უკვე გაემზადა. მასში 120 პოლკი ითვლება. სულ ჯარი 450,000 კაცისგან შესდგა, ამათში 18,000 კავალერიას შეადგენს ზარბაზნები ახალი სისტემისა 600-მდე, ხოლო ძველის 200 მდე ითვლება; 301-მდე კიდევ ტყვის მფრქვეველი აქვთ.

კარტოფილის განაწილება გერმანეთში.

20 მარტიდან ბერლინში კარტოფილის ხმარებაც „კარტოჩკებით“ იქნება შემოღებული, როგორც ეს პურის შესახებ არის დაწესებული. თითოეულ მცხოვრებს 60 დღისთვის მხოლოდ 50 გირვანქა კარტოფილი მიეცემა.

გაზეთი „ფორვერტსი“ შენიშნავს, რომ ეს ზომა თუმცა ახლა აუცილებელია და შესაფერი, მაგრამ ის მაინც პალიატივია. საჭირო იყო შემოდგომაზედვე შესაფერი ზომები მიეღოთ, რომ ამ ზამთარში კარტოფილის ხმარება პორციობით არ დაგვჭირდებოდაო.

მასწავლებელთა ნაკლებობა გერმანეთში.

პრუსიის ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიაში სახალხო განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ პრუსიაში 199 პირველდაწყებითი სკოლა უმასწავლებლობის გამო დაიხურაო. მინისტრმა სთქვა: ომში გაწვეულ მასწავლებელთა რიცხვიდან 6000-მდე კაცი უკვე დაიღუპაო.

გერმანეთის სამხედრო მინისტრის განცხადება.

ბავარიის ლანდტაგის შეკითხვაზე გერმანეთის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ ისეთი ბრძოლა, რომელიც დღეს ვერდენთან სწარმოებს დროს მოითხოვს, რომ შესაფერათ დასრულდესო.

მობილიზაცია რუმინეთში.

რუმინეთის მთავრობამ თავის ქვეშევრდომთ მოთხოვა, რომ ომში გასაწვევ ჯარის კაცთა პუნქტებში მოგროვდეს ყველა ვისაც დაბადებიდან 21 წელი ვიდრე 46 წლამდე შესრულებია იმას და მიუხედავათ რუმინეთში არიან ისინი დაბადებული თუ არა.

გერმანელნი, გერმანელ იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ჰოლანდიაში „გერმანელთა ჰუმანიტარული ლიგა“ არსებობს, რომელიც ომის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა. ამას წინად ამ ლიგამ მრისხანებით სავსე მოწოდება დაუგზავნა თავის განყოფილებებს. კიცხვა-გმობა პრუსიის „ზე ლორდთა“ წინააღმდეგ არის გამოთქმული ამ „ზე ლორდების“ წყალობით არის, სწერს ლიგა, რომ დედამიწა ადამიანის სისხლით შეიღება და ყველგან ქვრივ-ობოლთა კვნესა გმინვა გაისმის. მთელი ეს ომი ამ მოღალატეების საქმეა იმ საძაგლებმა, რომლებიც ბერლინში წამომჯდარან, ხელთ იგდეს ძალაუფლება, გარყვნეს რეიხსტაგის პარტიები და მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობენ. მათ ფეხქვეშ გათელეს უმწეო მეზობლები და გერმანეთის „ამაყი სახელი“ შეარცხვინესო.

ქრონიკა

რუსეთი.

„სენსაციური“ ცნობა.

ამასწინად დატუსაღებული ახალი აზეფის რჟევსკის შესახებ პეტროგრადში შემდეგი სენსაციური ამბავი შეიტყვეს. დანამდვილებით ამბობენ, რომ რჟევსკი ხვოსტოვის თანხმობით ერთი პირის მოკვლის საქმეს აწყობდა. ამ მიზნით ცნობილ ბერს ილიოდორეს ცარიცინიდან უნდა მოეწვია თურმე ხუთი ფანატიკი—ხულიგანი, ხოლო ხვოსტოვს ამ საქმისთვის 60,000 მანეთი უნდა გაეღო.

ყოფილი სამხედრო მინისტრი.

„ნოვოე ვრემიას“ გადმოცემით ყოფილი სამხედრო მინისტრი, გენერალი სუხომლინოვი სამსახურიდან გასვლას თხოულობს, ალბათ იმ გამოძიების გამო რომელიც მის წინააღმდეგ კარგა ხანია არის აღძრული.

მსოფლიო ომი.

(დღიური).

ვერდენთან ბრძოლა ერთ წერტილზე შეჩერდა; სამაგიეროთ გერმანელთა ახალი შეტევის ნიშნები გამოჩნდა და ეს გერმანელების სამხედრო ტაქტიკასთან შეთანხმებულია: როცა დაატყობენ რომ ერთ ხაზზე ან ერთ რომელიმე ფრონტზე საქმე ძნელდება და წინ წასვლა სჭირს, მყისვე სხვა უფრო სუსტ მხარეს მიმართავენ და იქ განაგრძობენ შეტევას. ამ ჟამათ მათ ორი ფრონტი აქვთ აჩემებული: ბალკანეთის და რუსეთის და აი დღეს ვამჩნევთ, რომ ამ ფრონტზე განსაკუთრებით რუსეთის ჩრდილოეთის ფრონტზე გერმანელებმა შეტევა უკვე დაიწყეს.

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ფრონტზე რუსეთის ჯარის წინსვლა თითქო შეჩერდა: ახალი ცნობა არაფერი მოსულა.

რუსეთისა და ავსტრო-გერმანეთის ასპარეზზე კი ბრძოლა ახლდება: რიგის რაიონში ისკიულსკის წინა სიმაგრეებს გერმანელებმა ყუმბარები დაუზოგავათ დააყარეს. გერმანელებმა არტილერია იაკობშტადტთანაც აამოძრავეს. ტვერჩის სამხრეთით მიდზიანთან გერმანელებმა შეტევის დაწყებაც სცადეს, მაგრამ რუსეთის ჯარის არტილერიის ცეცხლმა შეაჩერა. ზემო სტრიპის რაიონში ორი მხარე ისევ დაზვერვას აწარმოებს. სამხრეთის ფრონტზე მოპირდაპირეთა მოძრაობა თითქო შეჩერდა, მაშინ როდესაც აქ მიმომხილველნი სახელგანთქმულ მაკენზენის შემოტევას დღე დღეზედ ელოდენ, როგორც სჩანს ახლა ჯერი ისევ ჰინდენბურგზე მიდგა, რომელიც ჩრდილოეთის ფრონტის ჯარებს ხელმძღვანელობს.

ბელგია-საფრანგეთისა და გერმანეთის ფრონტზე ისევ ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს, ახალი არაფერი მომხდარა. ვერდენთან ბრძოლა ინტერესს თითქო კარგავს:

გერმანელების თავგამეტებულ იერიშებს ჯერ ჯერობით თვალსაჩინო ნაყოფი ვერ მოაქვთ. ფრანგები მარჯვეთ უმკლავდებიან საოცარი ენერგიით და თავდაუზოგველობით მოტანილ იერიშებს.

გერმანელებმა 5 მარტს მეოთხეჯერ მიიტანეს იერიში და გერმანელების ტყესთან ოდნავ წაიწიეს მაგრამ ფრანგების გაალმასებულმა საარტილერიო ცეცხლმა ისინი იძულებული გახდა დაკავებული სიმაღლეები დაეტოვებიათ. ამნაირათ გერმანელებმა აურაცხელ მსხვერპლის გაწირვის შემდეგ ისევ თავის წინანდებური პოზიციები დაიკავეს 6 მარტს ვო-დამლუს ხაზზე ისევ თავდაუზოგველი იერიშით წავიდენ, მაგრამ ფრანგების არტილერიის ცეცხლს ვერც ახლა გაუძლეს და ისევ უკუიქცენ. ვერდენის რაიონში ამავე დროს ფრანგებსა და გერმანელებს შორის საჰაერო ბრძოლა გაიმართა; გავასის სააგენტოს ცნობით დამარცხდენ გერმანელები: თითქმის არც ერთი მათი ჰაეროპლანი არ გამოჩენილა.

ბალკანეთის ფრონტზე. გერმანეთისა და ბულგარეთის ჯარებს ამოძრავება დაეტყოთ: საბერძნეთის საზღვარზე გერმანეთისა და ბულგარეთის შეერთებულ ჯარის მცირე რაზმებმა საბერძნეთის საზღვრები გადალახეს და საბერძნეთის სამი თუ ოთხი სოფელი დაიკავეს; მაგრამ მალე მოუსწრო მათ ფრანგების რაზმმა რომლებმაც ისინი არტილერიის ცეცხლით სოფლებიდან მალე გააძევეს; შემდეგ ეს სოფლები თვითონ ფრაგებმა დაიკავეს, რასაც ვფიქრობთ საბერძნეთის მთავრობის გულის წყრომას გამოიწვევს ის, როგორც კვალას დაკავების ცდამ საბერძნეთის პროტესტი გამოიწვია. მოკავშირეებმა საბერძნეთსა და ავსტრო-ბელგ-გერმანეთთან დამაკავშირებელი ტელეგრაფი მოსპეს, რამაც საბერძნეთში დიდი უკმაყოფილება დაბადა.

რუმინეთმა მობილიზაცია მოახდინა, დიდ მზადებაშია, მაგრამ ჯერ კიდევ არავინ უწყის თუ ვისთვის ლესავს იგი თავის ხმალს.

„დიდი ამბების“ წინამორბედი.

პეტროგრადიდან ამალელვებელ ამბებს იტყობინებიან. სახელ. სათათბიროს ახლა მხოლოდ მუშათა წრეებში აღძრული უკმაყოფილება აღელვებს. სათათბიროს უხუცესთა სხდომა ნაშუაღამევს გაგრძელდა. კრება მუშების მღელვარების მიზეზებს არკვევდა, ზოგი მიზეზი გამოირკვა, რისგამოც პროგრესისტებმა დაადგინეს, რომ ბლოკს მოსთხოვონ, მან სათათბიროს დახურული კრება დანიშნოს, რომელზედაც სამხედრო მინისტრი პოლივანოვი უნდა დაესწროს. მიიღეს მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, რომლითაც აღნიშნავენ, რომ სიძვირემ საოცრათ იმატა, რისთვისაც მუშათა ხელფასი აუცილებლათ გადიდებულ უნდა იქნას; რეპრესიების ხმარებას (ალბათ მუშების წინააღმდეგ) უმიზნოთ თვლიან. პირიქით საჭიროთ მიაჩნიათ, რომ მუშათა-ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა აუცილებლათ გაუმჯობესებულ იქნას.

ს. დ. ფრაქციამ სათათბიროში განცხადება შეიტანა, რომლითაც იგი სათათბიროს ყურადღებას მომხდარ ამბების არაჩვეულებრივობას და სერიოზულ ხასიათს მიაქცევს: ფრაქციის აზრით საბედისწერო მომენტი დადგა, ამიტომ, ამბობს თავის განცხადებაში. გაფიცვების მიზეზი აუცილებლათ უნდა გამოირკვეს; ამისთვის ფრაქცია წინადადებას იძლევა, რომ განსაკუთრებული პარლამენტარული კომისია შეადგინონ.

სამხედრო უფროსის ბრძანება.

პეტროგრადში მომხდარ ამბების გამო პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსმა ახალი ბრძანება გამოსცა, რომლითაც სასტიკი ზომებია მიღებული სახელმწიფოს დაცვისთვის საჭირო მასალის საწარმოვო დაწესებულებებში მომხდარ გაფიცვების წინააღმდეგ. ყოველგვარი შეტაკება-არეულობის მომხდენი სამხედრო—საველე სასამართლოს გადაეცემა.

პოგრომშჩიკებმაც თავი წამოჰყვეს.

ამ დღეებში პეტროგრადში შემდეგი ამბავი მოხდა: ვასილევის კუნძულის ბაზარზე ერთმა ხულიგანმა შენიშნა, რომ ერთ მოხუც ქალს კალთაში გახვეული ბავშვი მიჰყავდა. ხულიგანმა მაშინვე ყვირილი მორთო: „არიქა, ურიის დედაბერს ბავშვი მოუტაცნია და დასაკლავათ მიჰყავსო“ ამ ხმაზე დედაკაცის ირგვლივ რამდენიმე ასეული კაცი და ქალი შეგროვდა და ყველა ცემას ემუქრებოდა დედაკაცს. საბრალო ქალმა რის ვაი ვაგლახით თავის ბინამდე მიაღწია და იქ აღმოჩნდა, რომ პატარა გოგო, რომელიც მას კალთაში გახვეული ჰყავდა, შვილი შვილი იყო მისი—ომში გაწვეულ აფიცრის ქალიშვილი. ამის გაგების შემდეგ ერთხანს კიდევ იყაყანეს პოგრომშჩიკებმა საპოგრომო სიტყვებს ამბობდენ და მერე, პოლიციამ ძლივს—ძლივობით გაფანტა ისინი.

„სკოლები აჭარაში“

შაბათს, ამა თვის 5 სოფ. ქორონისთავში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. სკოლის გახსნას დიდის იმედით და გამოუთქმელის აღტაცებით მიეგებებიან აჭარის მცხოვრებნი. სკოლის კურთხევის დღეს, სხვათა შორის, სიტყვა წარმოუთქვამს სახალხო სკოლების ინსპექტორს ბ-ნ პეტროვს. კვირას, 6 მარტს, სკოლა უნდა გახსნილიყო ხუტუბანში.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს—რომ დღეს დარბეულ და კულტურულად ჩამორჩენილ აჭარის გამობრუნება, თუ ჩვენთან დაახლოვება, მხოლოდ ასეთის კულტურულ საქმიანობით შეიძლება, როგორც ეს ამას წინად პატივცემულმა აპ. წ—ძემ გაზ. „საქართველო“-ში სამართლიანად გვიკარნახა: როგორც შეგნებულმა ქართველობამ, ისე ქართველ სხვა და სხვა დარგისა და პროფესიის ახალგაზდობამ აჭარელთა მიმართ სწორეთ დღეს ნახევრად მაინც უთუოდ უნდა გაამართლონ ის სიტყვები, რომელსაც ისინი უძღვნიდენ და ჰპირდებოდენ აჭარელებს.

ქართველმა ახალგაზდობამ უნდა შეაგროვოს წიგნები თუ ჟურნალ-გაზეთები და გადაჰგზავნოს აჭარის სკოლებში, საიდანაც იქ დანიშნული მასწავლებელი საჭიროებისდამიხედვით გაანაწილებს. დიაღ დღეს გვმართებს მოძმეთა მიმართ პრაქტიკული მოქმედება დანაპირების განხორციელება; თავზე დამტყდარ მწარე განსაცდელ-აწიოკების შემდეგ აჭარა აყვავება-აღორძინებისკენ მიექანება, მხოლოდ საჭიროა ჩვენი ენერგიული და ამასთანავე გონივრული მოქმედება.

ირ.—დი.

ნ. ხვოსტოვის გადაყენება.

ვ. დ. ს. უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს.

მეფემ უმართებულეს სენატს უბრძანა შინაგან საქმეთა მინისტრის კამერგერ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ნ. ხვოსტოვის თანამდებობიდან განთავისუფლება

შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. ხვოსტოვის პორთფელს პრემიერი შტიურმერი იღებს.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

კვირას, 6 მარტს, სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა ეთნოგრაფიული საზოგადოების წევრთა კრება. კრებას უნდა აერჩია წარმომადგენლები. კულტურულ დაწესებულებათა კავშირში მონაწილეობის მისაღებათ. აირჩიეს: გრიგოლ გვეღლესიანი, დ. უზნაძე და სილოვან ხუნდაძე.

✦ კრების გადადება. 6 მარტისთვის დანიშნული თავად-აზნაურთა კრება, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, არ შედგა და 13 მარტისათვის გადაიდვა.

✦ დახმარების დარიგება. ორშაბათ 7 მარტს, ქუთაის[illegible] შეუდგა ომში [illegible] ოჯახების დახმარების დარიგებას.

✦ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავში რის რწმუნებული სთხოვს ადგილობრ კავშირის კომიტეტს დეპეშით აცნობ თავისი წარმომადგენელი, რომელიც უნდ დაესწროს ქალაქთა-კავშირის მე 4 ე ყრი ლობას მოსკოვში.

✦ პასუხისგებაში მიცემა. უმაღლესი ბრძანებით, სამხედრო წესდება შეიცვალ შემდეგნაირათ:

ა.) ომიდან გამოქცევისათვის ჯარის კაცს დასჯიან ყოველივე ღირსების ა მოხდით და 4—20 წლ. კატორგაში გაგ ზავნით, ან და სიკვდილით დასჯ

ბ.) თუ ვინმე მტერს განგებ ჩაუვარდ ხელში ან დაპირა მტრის ჯარში გაქცევ დამნაშავე სიკვდილით ისჯება. გ.) თუ ვინმე დაიმალა სამუდამოთ ან დროებით სამხედრო სამსახურიდან თავის დაღწევ მიზნით ან რაიმე ყალბი მოწმობების წ წეობით შეეცადა განთავისუფლებას, დამ ნაშავე დაისჯება ყოველივე ღირსებ ახდით და 4—20 წ. კატორღით ან სიკ დილით და დ) ვინც განგებ თავს და სუსტებს რაიმე წამლით ან ჭრილობ მიიღებს იმავე მიზნით, დამნაშავენი დაი ჯებიან ისე, როგორც ზემოჩამოთვლილ დამნაშავენი.

✦ კვირას ქუთაისის ქალაქის თეატრ რუსულმა დასმა წარმოადგინა პიესა „პო პორშიკის გმირობა“ საზოგადოება ნაკლე ბათ დაესწრო წარმოდგენამ სუსტათ ჩ იარა.

✦ კვირიდან ჩილინგაროვის ახალ ს კანდიტერში ერთი კვირით მოეწყო ს ჩაი-კაფე, რომლის წმინდა შემოსავალ გადაიდება ახალი თეატრის ფონდის გა ძლიერებლათ: საზოგადოება დიდძალი წრება.

✦ კვირას, 6 მარტს, სად. 8 საათ სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში მოხ საქველმოქმედო საზოგადოების წევრ კრება კრებამ ერთხმათ დაამტკიცა სახ. ა გარიში ახალ გამგეობაში კვლავ დარჩ ჩვეული წევრები სარევიზიო კომისიაში ამოირჩიეს ივანე პურადაშვილი, ა. წერ ეთელი და ტ. ხუნდაძე

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი ქართულ გამოცემები გაზ. „ახალი კვალი“ ყოველ კვირეული № 1 ჟურნ. სასოფლო გაზე № 5 მარტისა და საპედაგოგო ჟურნა განათლება თებერვლისა № 2.

✦ **საყურადღებო გასამართლება.** ეთელე II-ს გასამართლება, კვირას, 1 მარტს ბილეთები გაიყიდება ხუთშაბათ დებ

ლიტერატურული გადაგვარება.*)

ლიტერატურა ამის ცხოვრების შვილია და მაშასადამე, ლიტერატურის გადაგვარება უკუღმართ სოციალურ პირობათა ნაყოფია.

მოვიყვანოთ დასამტკიცებლად სხვათა შორის შლოსერის აზრი რომაული ლიტერატურის დაცემის შესახებ იმპერატორების დროს (იხ. მისი „მსოფლიო ისტორია“).

მაშინდელი სატირა უსირცხვილოდ, მოურიდებლად ასურათებდა გარყვნილებასა და რყვნიდა მკითხველის ფანტაზიას.

იმპერატორების დროის ხანაში ყველაზე უფრო შესანიშნავი სატირიკოსები იუვენალი და პეტრონი იყვნენ.

იუვენალი (ცხოვრობდა დაახლოებით ასი წლის წინად ქრ. შობამდის), მართალია, ჰგმობს და სწყევლის გარყვნილებასა და ბოროტმოქმედებას, მაგრამ ქარაგმით, გაკვრით კი არ აღნიშნავს, არამედ დიდი სიამოვნებით, დაწვრილებითა და ხელოვნური სიცხადით ასურათებს საზიზღარ სცენებსა და ამით, რასაკვირველია, ხელს უწყობდა გარყვნილების გავრცელებას.

პეტრონი არბიტრი ნერონის კარის კაცი იყო (ნერონი მეფობდა 54—68 წ.) მასში ბრწყინვალე განათლება და გარყვნილება ერთად შეზავებული იყო. მან დასწერა მოთხრობა, რომელშიაც ენის საკვირველი სილამაზითა და დაუშრეტელი გონება-მახვილობით დაასურათა გარყვნილების ურცხვ სიამეთა სცენები, რომლებშიაც თვითონაც მონაწილე იყო. უზნეობა დიდი ხელოვნებით გამოკვლილ-გამოქანდაკებულია. ავტორმა კარგად იცის, რომ ჭეშმარიტებასა და სიკეთეს ადგილი არც ცხოვრებაში აქვს და არც მეცნიერებასა და ხელოვნებაში, მაგრამ დასცინის არა უზნეობას, არამედ მხოლოდ „პედანტებს“, რომელნიც ამა სოფლის სიამეთადმი მიდრეკილებას უარყოფენ, და ჰგმობს არა გახრწნილებას, არამედ გარყვნილებაში ჩავარდნილ პირთა სასაცილო მდგომარეობას. მარციალი პეტრონის თანამედროვე იყო. მის ეპიგრამებს ლამაზი ენა, წვლილი ხელოვნური გემოვნება და და თან გარყვნილების სული ახასიათებს. აქებდა სხვათა შორის იმპერატორებს—დომიციანს(81—96 წ.), ნერვას (97-98 წ.) და ტრაიანს (98—117 წ.) და ამბობდა: რას დავსდევ, მოსწონსთ თუ არა ჩემი ნაწარმოებნი, ოღონდ კი ფული ვიშოვო. და მისი მშვენიერი პატარა ლექსები გარყვნილების მწვირიან სცენებს ხატავდენ.

ამ დროს ძლიერ გამშვენიერდა და განსრულდა ენა, მაგრამ მაგიერად ზერელი ცოდნა, სულის სიცალიერე, სოფისტიკა, დეკლამაცია, უგულობა, ცრუთავმოყვარეობა და გარყვნილება გამეფდა. არ უყვარდათ სიმარტივე, ბუნებრივობა, სინამდვილე, არამედ მაღალ-ფარდოვანი სიტყვების რახარუხში პოულობდენ ხსნას. მეცნიერებას ისე უყურებდენ, როგორც მეორე ხარისხოვან საქმეს, და უმთავრესად სიმდიდრისა და სახელის მოპოვებას ცდილობდენ.

იყვნენ, რასაკვირველია, ისეთი მწერლებიც, რომელნიც ებრძოდენ ამ მიმართულებას. მაგალითად სენეკა (ნერონის ჯარისკაცი იყო), რომელსაც ძლიერი და, თუ შეიძლება ითქვას, შეკუმშული და მკვეთრი სტილი ჰქონდა, თავისი დროის ციცერონი იყო, და მისი მკაცრი, სტოური ფილოსოფია კაცის შინაგანი ცხოვრების ნეტარებასა და მიწიერი კეთილდღეობისადმი ზიზღს ჰქადაგებდა.

მაგრამ იმავე დროს ის ნერონის სულმდაბალი მეგობრის, ყოფილი მონის პოლიბისა, და დესპოტის დედის აგრიპპინას წინაშე გველივით ინართხებოდა და თავის მოძღვრებას თვითონვე ღალატობდა. მეორე მხრით, რამდენადაც ციცერონის სტილი სადა, პირდაპირი და გამბედავი იყო, იმდენად სენეკასი—მწიგნობრული და არა ბუნებრივი.

ამ ხანის ერთი საუკეთესო მწერალი, რომელიც ცრუ გზას ,არ დასდგომოდა, იყო პერსი (დაიბადა 34 წელს ქრ. შემდეგ, გარდაიცვალა 28 წლისა). მას დიდი სატირიული ნიჭი ჰქონდა, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებამ პირველობა პეტრონისა და მარციალს მიაკუთნა. ის საზოგადოებაზე უფრო მაღლა იდგა და მარტო მაღალი წრისათვის არა სწერდა. იცოდა, რომ გარყვნილთა გასწორება აღარ შეიძლებოდა, მათთვის კი, ვინც ჯერ გარყვნილი არ იყო, სჯობდა არ გამომზეურებულიყო გარყვნილება. იუვენალივით კერძო პირის ცხოვრებას კი არ აღწერდა, არამედ საზოგადოდ ჰგმობდა უზნეობას, და გარყვნილების სიამოვნებათა და უწმინდურ სურათებს კი არ აღნიშნავდა და არა ხატავდა, არამედ უზნეობის მიზეზებს ეძებდა და ფილოსოფიაში პოულობდა ხსნას.

ტაციტი იმპერატორის ტრაიანის მეგობარი იყო (ტრაიანი მეფობდა 98—117 წ.). მისი „აგრიკოლას ცხოვრება“ სინათლის სხივს წარმოადგენს მაშინდელი საყოველთაო გახრწნილების დროს. იგივე ღირსება აქვს „გერმანელების ცხოვრების აღწერას“, რომელიც ორ დიდ ტომს შეადგენს. შესანიშნავი პოეტური ხელოვნებით დაასურათა მან გერმანელთა ზნე-ჩვეულებანი, ერთმანეთის გამტანობა, ერთგულობა და უბრალო, სადა ცხოვრება, რომელიც აკლდათ რომაელებს.

კვინტილიანმა (დაიბადა 42 წ., გარდაიცვალა 118 წ.) დასტოვა მჭერმეტყველების სახელმძღვანელო. ებრძოდა თანამედროვე ლიტერატურის ცრუ მიმართულებას.

პლინი უმცროსმა დასტოვა კრებული წერილთა და სხვათა შორის ტრაიანის ქება (ტრაიანი მეფობდა 98—117 წ.). მისი წერილებიდან ვტყობილობთ, რომ მის დროს რომში ყოფილა მოწინავე კაცების წრე, რომელიც უყურებდა ლიტერატურას, არა როგორც გასართობს, არამედ როგორც საპატიოსა და სერიოზულ საქმეს, და, თუმცა დიდი ადგილები სჭერიათ, არ უკადრისობდენ ყოფილიყვნენ ხალხის მასწავლებლებად. მან დასწერა სხვათა შორის დიდი თხზულება, რომელიც მაშინდელ ცოდნათა ენციკლოპედიას წარმოადგენს და 2,000 სხვადასხვა თხზულების მოკლე შინაარსს შეიცავს.

მაგრამ, რომ შევადაროთ პლინი უმცროსის ნაწერები ციცერონისას, დავინახავთ, რომ, რამდენადაც ციცერონის წერის კილო პირდაპირი და ბუნებრივია, იმდენად პლინის წერის კილო ფრთხილი, მორიდებული, მწიგნობრული და ბიუროკრატიული. და მის გონება-მახვილობას ხშირად ჩრდილავს მისი მაღალფარდიანი, გაბერილი და ბუნდოვანი ფრაზები. განსხვავება ციცერონისა და შორის, ცხადია, მიუწვდება ცილურ წესწყობილებათა განსხვავ ბას, რომელშიაც ისინი ცხოვრ დენ.

იმპერატორის ადრიანის დროს (ვცხ და 117 დან 138 წ.) მეცნიერება ხელოვნება კიდევ უფრო დაქვეითდ მთავრობის ზედამხედველობას. მაგრამ ჰყავდა კარგი მრჩევლები: არრიანი, რინი და პლუტარხი.

ამ დროს მჭერმეტყველება გარდ სოფისტიკად მაშინდელ ფილოსოფ მოღვაწეობას ახასიათებდა განყენებ მჭევლობა, სიტყვების თამაში, თავი ნობა აზრთა თავისებურობითა და ბა-მახვილობითა და სხ., რასაც რებასთან საერთო არა აქვს რა. ჰ ტი მეცნიერი აღარსად იყო. იმავე სოფისტიკა დეკლამაციასთან იყო წვრთნელი და სოფისტებს მიზანი ხელის მოპოვება და ფულის შეძენა დგინდა. თუმცა მათი სწავლა ტუნებებიდან არც გულისა და არც გ მაგრამ დიდ ქონებას იძენდენ მასწავ ლობით და საჯარო ლექციებით. ლითად, როდესაც სოფისტი პოლ ლექციების საკითხავად მოემზადებოდ ფერი სიმდიდრითა და პატივისცემით გარემოცული: თან ახლდა აუარ მონა, ცხენი, მონადირე ძაღლები ლთან კი მდიდრულად მორთულ ბრძანდებოდა.

იმავე ნიადაგზე აღმოცენდა მის ბი, რომელმაც გაიკვლია გზა კლასიზმამდე. ამ მიმართულების სხვათა შორის აპოლონ ტიანელი უდიდესი სასწაულთმოქმედი მიაჩნდ რომლის სახელს თვით იმპერატორ რანპ ისე მოწიწებით ეთაყვანებოდ მისი საკვეთელი შემდეგ მისი

---

*) ყველაზე უკეთესი იქნებოდა რომ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლას მდუმარებით შეხვედროდა ჩვენი საზოგადოება, ვინაიდგან ყოველგვარ სიბინძურესა და სიშიშვლეს თვალს არავინ უსწორებს ხოლმე. მაგრამ რაკი პატივცემულმა გაზეთმა „Зак. Р.“ ეს დუმილი დაარღვია და დასახელებულ ჟურნალის მესვეურთ „რაღაც დამსახურებაც“ კი მიაწერა ჩვენს ლიტერატურაში, ვბეჭდავთ დიდათ პატივცემული ჩვენის თანამშრომლის ამ წერილსაც, იმის აღსანიშნავად, რომ „ცისფერი ყანწები“ მხოლოდ ავადმყოფური მოვლენაა ჩვენში და რაც ადრე მოისპობა ეს ავადმყოფობა, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენის მომავლისათვის.

რედ.

ქუთაისის მცხოვრებთა საყურადღებოთ,
თეატრის ასაგებ თანხისთვის
ძმ. ჩილინგაროვების შენობაში თეატრის პირდაპირ
6-დან 13 მარტამდი

შეგიძლიათ მიირთვათ: ჩაი, ყავა, შოკოლადი, კაკაო, რძე, მაწონი, ყოველგვარი ცივი საუზმეული და მადნეული წყალი.
დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი
იმღერებენ ცნობილი მომღერლები, წაიკითხავენ ლექსებს
დიასახლისებათ და სტუმრების სამსახურისთვის მოწვეული არიან ქუთაისის საზოგადოების ცნობილი ქალბატონები და ქალიშვილები.
79. ბიურო აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს, კვირას, 6 მარტს, დღის პირველ საათზე დანიშნულია კაფეს კურთხევა: უ.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დარ-
თო. შ. წ. კ. გამ. საზ. ონის განყო
ებს, იმავე საზოგადოების ფონდის
ლიერებლათ 20 მარტს, გამართონ
ში წარმოდგენა. წარმოდგენილი
ა ვაჟუნის პიესა „და-ძმა“,

◆ ქალმოქმედ კოსტავას ანდერძის აღ
ლებლებმა 500 მ. უკვე წარადგინეს
ქალაქის თვითმართველობის კასაში.

◆ კვირას 6 მარტს ქვაშვეთის წმ. გიორ
სიაში პანაშვიდი გადაიხადეს გაზ
ობის“ განსვენებულ რედაქტორ-
, გამომცემლებისა და თანამშრომლე
სულის მოსახსენებლად.

◆ ცნობა. სახელმწიფო თავდაცვის
ებული და თავჯდომარე კავკასიის
ის ჯარების მეპატრონეთა თათ-
ს, ცირკულიარით ატყობინებს ქუთა-
ქალაქის თვითმართველობას დაუყო-
შეატყობინოს რამდენი —შენობა
დება 1916 წელს ქალაქში და რა
ლმწიფოებრივი და საზოგადოებრივი
წესებულება ექნება, ან რამდენი ლითონი
ება საჭირო

◆ რადგანაც ამ ამათ ქუთაისის ქალა
თვითმართველობის საშტატო კომი-
ახალ შტატს იმუშავებს, ამიტომ
წინად ქალაქის გამგეობას შეეკითხა
ლის ქალაქის გამგეობა ეცნობებია
რამდენი ეძლევათ ჯამაგირი დაბალ
ალ ქალაქის სავადმყოფოთა პერ-
ნალს ამის შესახებ თვითმართველო-
შემდეგი ცნობა მიიღო: სავაადმყო
ს ექიმი იღებს 1200 3000-წლ. ფე-
ლები 660 მ. მომვლელი ქალი-300 მან
ქის ლაბორატორიაში ექ. გამგეს
0 მ. ორდინატორს 720 მ. ფერშალს
მ. სანიტარულ ექიმს 1500 მ. სანიტ

◆ არქიელის გორის მცხოვრებლები
მდგომლობენ ქალაქის გამგეობის წი-
ქუჩების განათების შესახებ.

◆ შაბათს, 5 მარტს, ქუთაისი
ნ ტყიბულს მატარებლით გაგზავნეს
1 სამხედრო ოსმალო ტუსაღი ქვანა
რის მაღაროებში სამუშავოთ.

◆ 7 მარტიდან, 1916 წლ. თანა-
კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნ-
ლსა, ქალთა გიმნაზიის დარბაზში დაიწყება ბავშვებისათვის მოსამზადებელი სწავლება. სწავლა უფასოთ არის იმ ჯარის კაცთა ბავშვებისათვის, რომელნიც ამ ჟამათ ჯარში არიან ან ომისაგან დაზარალებულან სასწავლებლებათ მიიღებიან. 7 9 წ. ქალები და 6-9 ვაჟები. სწავლება დანიშნული ნაშვადღევს 3-6 საათამდის.

სახელმწიფო სათათბირო.

საბიუჯეტო კომისიამ მოიწონა ახალი გადასახადების შესახებ შემუშავებული კანონპროექტი. სასოფლო სამეურნეო კომისიამ მოიწონა კანონ-პოექტი თურქესტანის საგუბერნატოროში წყალით სარგებლობის შესახებ. ხალხის ჯანმრთელობის დაცვის კომისიამ სასურველად სცნო კანონპროექტი სასმელ წყალისა და ბინების დასაცავად. შინაურ თვითს მართველობის კომისიამ, ზოგიერთი ცვლილებით მიიღო გერმანელთა ძალმომრეობის საწინააღმდეგოთ შედგენილი კანონ-პროექტი ავსტრეთ უნგრეთ-გერმანეთ ოსმალეთის ქვეშევრდომთა მფლობლობის გაუქმებისა.

აჭარლები თბილისში.

ამას წინად ქ. თბილისს ჩავიდა აჭარელთა დეპუტაცია. დეპუტაციაში იყვნენ: ხოჯა ისკანდერ-ეფენდი ცივაძე, რეჯებ-ეფენდი ნიჟარაძე, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი და მაჰმედ ბეგ აბაშიძე. დეპუტაცია ეახლა კავკასიის მეფის ნაცვალს სადაც დიდმა მთავარმა დეპუტაცია უდიდესბულების იმედით ანუგეშა. შემდეგ იყვნენ თბილისის ქართ. საქველმოქმედო საზოგადოების თავჯდომარესთან 4 მარტს ჩამოსულთ თბილისის ქართველობამ ახალ კლუბის დარბაზში ნადიმი გაუმართა. ნადიმს ორასამდე კაცი დაესწრო ადგილობრივ ქართულ პრესის წარმადგენელნი და სხვა ინტელიგენცია. ნადიმს, სხვათა შორის, დაესწრო ნიკო ნიკოლაძე რომელმაც, აჭარელთა შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში ქართველ ხალხს უსურვა მოქმედება და არა ლაპარაკი ამასთანავე მან მიუთითა ლაზისტანზე ზრუნვის შესახებ რაიც ამ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ადვილი შესაძლებელია ჩვენ შემოგვიერთდეს.

სიტყვები წარმოსთქვეს:

ექვთ. თაყაიშვილმა გ. გვაზავამ, გ. მაჩაბელმა, სპ. კედიამ „საქართველო“-ს თანამშრომელმა. ი. მაჭავარიანმა და აგრეთვე საზოგადოების თხოვნით აჭარლებს ექსპრონტათ ლექსი უთხრა მგოსანმა სანდრო შანშიაშვილმა.

ნადიმს თამადობდა ქ. შ. წ. კ. გ. ს. მთავარ გამგეობის თავმჯდომარე მწერალი გ. ყაზბეგი.

ნადიმს სრულიად ეროვნული სახე ჰქონდა, რამაც აჭარლებზედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ანკეტა

„ახალი ცისკრის“ რედაქციამ უკვე დასტამბა საანკეტო ფურცლები, თანამედროვე მგოსანთა შორის უპირველესის „მგოსანთა მეფის“ არჩევის შესახებ, ფურცლები ამ დღეებში დაურიგდებათ ჩვენს მგოსნებს, ბელეტრისტებს, საზოგადო მოღვაწეებს, რედაქტორებს, დრამატურგებსა და სხვათა „ახალი ცისკრის“ რედაქცია ამას თანავე აცხადებს, რომ ყოველგვარი საიდუმლოება ამომრჩევლებისა სასტიკად დაცული იქნება რედაქციის მიერ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპაში ასეთ მოვლენას დიდის სიმპატიითა და თანაგრძნობით ეპყრობიან.

საჭიროა ჩვენი საზოგადოების მოწინავე ელემენტები წამოყენებულ საკითხს მეტის პატივისცემით მოეპყრან და მეტი ანგარიში გაუწიონ.

აქვე ვაცხადებთ თუ ვინმეს, რაიმე აზრის გამოთქმა სურს აღძრულ საკითხის შესახებ, ვსთხოვთ გვაცნობონ, გაზეთის საშუალებით.

„ახალი ცისკრის რედაქცია“.

კავკასიის სამიტროპოლიტო

ამ სათაურით „პეტროგრადის ვედ“ მოთავსებულია ბ. ნ. დურნოვოს წერილი იგი ამბობს: ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ახლანდელი თათბირი, რომელიც მოხდა „უმართებულეს“ კოლეგიაში. ეს კოლეგიები შემდგარია „თავისიანებით,“ ჩვენ მათ ნაკლებად ვერწმუნებით, რადგან ამ „თავისიანებმა“ თავიანთ დროშას წააწერეს. არ მისცენ ნება მრევლის განახლებისა და აღორძინებისა, ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ სასულიერო კრება არ იქმნეს მოწვეული და ისევ ძველებურად ივერიის ეკლესიის რუსიფიკაცია (გადარუსება) განაგრძონ.

მოსკოვის მიტროპოლიტის მაკარის თავმჯდომარეობით (რომელიც სრულიად არ იცნობს ივერიის ეკლესიას) შესდგა კომისია, კომისია, რომელმაც გადასწყვიტა შექმნას კავკასიის საეკლესიო ოლქი, სადაც მოთავსებულ იქმნება ივერიის ეკლესიის ეპარქია და ამ რიგად სამუდამოდ ჯვარი დაუსვან ქართველ ავტოკეფალისტების კანონიერ მოთხოვნილებას, რომელ მოთხოვნასაც 1905 წლიდან ემხრობა დღევანდელი პეტროგრადის მიტროპოლიტი პიტირიმი და მისი თანამოძმე მისებრ ყოვლად პატიოსანი და მწყემსთ-მთავარი ტიხონი. მაგრამ ამ ორს მწყემსთ-მთავართ რა შეუძლიანთ გააკეთონ ესდენ ძლიერ სასულიერო მოხელეთა შორის და იმ ობერ-პროკურატურასთან, რომელიც მსოფლიო ეკლესიის კრების დადგენილებას ივერიის ეკლესიის შესახებ თავის ნებით სცვლის.

როგორც სჩანს, „ნოვ. ვრ.“ დეპეშებიდან, მოსკოვში მრავალი სასულიერო და საერო პირი ხელს აწერს, რათა ეს მოკლე საეკლესიო კრება მოწვეულ იქნას, რადგან მოთმინების ფიალა უკვე აივსო.

უკეთუ წინასწარ საეკლესიო კრებას არ ჰსურს კვლავ საეკლესიო განხეთქილება გამოიწვიოს და არც ჰსურს რაიმე ისესხოს პაპისტებისა და ლიუტერებიდან, მაშინ იგი აღადგენს კანონების წმინდა ძალას და არც ბოროტ განზრახვას გამოიჩენს უძველეს სამოციქულოსა, ღვთისმშობლის წილხვედრილსა და მრავალტანჯულ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ, რომელ ეკლესიასაც მთელი ქვეყანა იცნობს როგორც ქრისტესათვის მრავალტანჯულს და თავდადებულს.

ჩვენ როგორ შეგვიძლიან აღვადგინოთ კანონიური მართველობა ეკლესიისა, და წესწყობილება ჩვენ მიერ ნებაჩაკლულ ეკლესიაში, როდესაც ჩვენ არა თუ პატივით ვეპყრობით, არამედ გვძულს ის მრავალ ტანჯული ეკლესია, რომლის შვილებმაც 15 საუკუნის განმავლობაში მისთვის იბრძოლეს და განწირეს თავიანთი სული.

კავკასიის მიტროპოლიის შექმნა წინასწარ თათბირზე მამა ი. ვოსტორგოვის წინადადებით იქმნა მიღებული. ეს უნდა ახსოვდეთ მიტროპოლიტებს: ვლადიმერს და მაკარის, ეს ახსოვთ აგრეთვე იმხანად

რიბა.

მაგრამ არ არის ისეთი ენერგეტიული
ედება, რომ თავის უარმყოფელ რეაქ-
ა არა შობდეს, და სწორედ ადრიანის
სვე განახლდა ხსენებული ცრუ მი-
ულების წინააღმდეგომი ძალა—სტოე
თა მოძღვრება.

სტოური ფილოსოფია, რომელიც ცა-
ულ სიტყვებად გარდიქმნა უკვე სენე
ს, კვლავ გაცოცხლდა და გაიწმინ-
ეპიკტეტისაგან, რომელიც გარდაიცვა
ცოტათი უფრო ადრე, ვიდრე ადრია-
ტახტზე ავიდოდა.

თავისი პრაქტიკული ცხოვრებით,
ლითით, ასწავლიდა თავის მოწაფეებს,
გორ უნდა მოიპოვებია კაცს ნამდვილი
ნიერება. მისი დარიგებანი შეკრიბა
მა მოსწავლემ, მცირე არიის ბერძენმა
რიანმა, ადრიანის მეგობარმა, პატარა
ნულებაში, რომელსაც ეწოდებოდა
ბის წიგნი“ და რომელსაც თითოეული
მნდელი მაღალი წრის საქმის სახელ-
წიგნად გარდაიქცა. და ეს იმას ამტკი
ბს, რომ სოფისტიკამ ვერ ჩააქრო მთლად
მარიტი გემოვნება და კეთილშობილი
ნობა.

მგვარად სტოურმა ფილოსოფიამ კვლავ
მაღლა კაცის შინაგანი ღირსება და
სუფალი ნების მიერ ბედის დაძლევის
რი, ე. ი. ზნეობრივი თავისუფლება.

დრიანის მეორე მეგობარი ფავორი
, რომელიც დიდი ცოდნით იყო აღ
რვილი, ცრუმორწმუნებისა და ბო-
როტმოქმედებას ებრძოდა.

დრიანის მესამე მეგობარი პლუტარხი,
მელსაც ეკუთნის სხვათა შორის შე-
ნიშნავი „შედარებითი ცხოვრების აღწე
შესანიშნავ ბერძენთა და რომაელთა“,
ოელთა და ეპიკურელთა შუაში იდგა,
ვის ზნეობრივი ფილოსოფია სხვადა-
სისტემიდან ისესხა, ჰქადაგებდა მოთმინებასა დ მონამორჩილებასა, აღამიანს ცოდვილად აღიარებდა და ცრუ მორწმუნეობა სწამდა. და ამ მოძღვრების გავრცელებამ ხელი შეუწყო ქრისტიანობას.

განცხრომამ, ფუფუნებამ, გარყვნილებამ დაარბილა, დააქალაჩუნა რომაელის რკინის ხასიათი და დაძინა რომი და იტალია. ამ გარემოებამ კი ხელი შეუწყო რომის იმპერიის პოლიტიკურ დაცემას.

ასე ახასიათებს შლოსერი რომის დაცემის ხანას.

მეტყვიან, შლოსერი ძველი მწერალია და ეგრეთ წოდებული განმანათლებელი ხანის აზრებით იყო გაჟღენთილი, მაგრამ, თუ კი ის, რაც მან 90 წლის წინადა სთქვა, სავსებით ეთანხმება ახლანდელ მეცნიერებას, ამით მის ნათქვამს სრულიადაც არ აკლდება ღირსება. და პირიქით მისი ცოცხალი დახასიათებანი და ღრმა ანალიზი მეთოლოგიურ საშუალებას გვაძლევს. შევადაროთ ჩვენი დუხჭირი ცხოვრება რომის დაცემის ხანასა და ამ შედარებიდან შესაფერი დასკვნა გამოვიყვანოთ.

ნათქვამიდან გამომდინარეობს შემდეგი.

1. ლიტერატურის გადაგვარება მჭიდროდ არის შეკავშირებული სოციალური ცხოვრებისა და ზნე ჩვეულების დაცემასთან.

2 გადაგვარებულ ლიტერატურაში გადამეტებული ადგილი უჭირავს მდაბიო სქესობრივ მგრძნობიერობას.

3. გადამეტებული სქესობრივი მგრძნობიერობის წინააღმდეგი რეაქცია წარმართობის დროსვე წარმოიშვა და მარტო ქრისტიანობის ნიშნობლივ თვისებას არ წარმოადგენს.

4. გარყვნილებასთან მჭიდროდ შეკავშირებულია მისტიციზმი, სასწაულთ მოქმედებათა აღსარება, მეცნიერების უარყოფა.

5. გადაგვარებული ლიტერატურის ნიშნობლივ თვისებას წარმოადგენს სხვათა შორის სოფისტიკა, რიტორობა, დეკლამაცია, წკრიალა, გაბერილი ფრაზები მრავალ-სიტყვაობა, ბუნდოვანება და არა ბუნებრივობა.

6. გადაგვარებულ მწერლებსა და ლიტერატორებს ახასიათებს სხვათა შორის გადამეტებული პატივ მოყვარობა და ვერც ხლმოყვარეობა.

და, თუ ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას ამ საზომით გავზომავთ, უეჭველია, ამავე მოვლენათ აღმოვაჩენთ.

გადაავლეთ თვალი, მაგალითად, ი. გრიშაშვილის ლექსებს უტყუარი ნიჭის შემოქმედებაა, მაგრამ იმავე დროს, თუ კარგად დაუკვირდებით, დარწმუნდებით, რომ ფორმა სჭარბობს და ფარავს შინაარსს, წკრიალა რიტორიკა—აზრთა სიღატაკესა და გრძნობათა არაგულ-წრფელობას.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ აბაშელის პოეზიის შესახებაც.

ვის არ მოუსმენია ჩვენში გრ. რობაქიძის ლექციები! არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ მას ისეთი დაფასება და წარმატება აქვს, როგორიც პოლემონ სოფისტსა ჰქონდა რომში. ყოველ მის გამოსვლას დიდი ზეიმით ეგებებიან, მას აქებენ, ადიდებენ, თაყვანსა სცემენ. და მისი პატივმოყვარეობაც სრულიად დაკმაყოფილებულია.

მაგრამ რას წარმოადგენს მისი ლექცია? წკრიალა, მაღალ ფარდებიან, ბუნდოვან, მისტიციზმით შეზავებულს უშინაარსო რიტორიულ დეკლამაციას, რომელშიაც აზრის ნასახი ძლივს ბჟუტავს.

როდესაც ის სცენაზე სჭექს და ჰქუხს და ჰაერში მრისხანებით მრავალ-სიტყვიან მაზხალას ისვრის, უნებურად ეკითხები შენს თავს; რისთვისა სწუხს და შფოთავს ლექტორი, როდესაც თავსამტვრევი და სადარდებელი არა გააჩნია-რა თქო?! და მსმენელი, მისი სიტყვიერი შადრევანით მთვრალი, როგორც მუსიკით, სულიერ სიცალიერესა გრძნობს.

და რას წარმოადგენს ის, როგორც კრიტიკოსი? მისი ენა, ქაღალდზე გადატანილი, ჰკარგავს მუსიკალობასაც კი და მძიმე, აუტანელი წასაკითხავია. მეორე მხრით ის არკვევს და ხედავს ხელოვნურ ნაწარმოებში თითქმის მხოლოდ გარეგან ფორმას. იდეა, შინაარსი, მისთვის თითქმის არ არის: ვერც ერთი იდეის ანალიზს ვერ დაასრულებს ხოლმე.

იმავე დროს უსამართლობა იქნებოდა წაგვერთმია მისთვის ყოველი ღირსება. ის ბუნებისაგან უტყუარი კრიტიკული ინტუიციით დაჯილდოვებულია. და, თუ მისმა კრიტიკულმა შემოქმედებამ შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო, ეს მიეწერება იმ გზას, მეთოდს, რომელიც მას აურჩევია.

მე აღვნიშნე აქ მხოლოდ უნიჭიერესნი, მათ შესახებ კი, რომელნიც მათს გზასა და კვალს მისდევენ, არაფერს ვიტყვი: თქმადა კი არა ღირან

მაგრამ არ შემიძლია არ ვახსენო ერთი სამწუხარო მოვლენა. ქუთაისში გამოვიდა აგერ ახლა ქართველი სიმბოლისტების პატარა კრებული, რომლის მიმართულებაც გარშემოიწერება მდაბიო სქესობრივი მგრძნობიერობის გამომზეურებით. ეს—გარყვნილების აშკარა, თამამი ქადაგებაა. ეს მიმართულება უარყოფს ყველაფერს დიდს, რასაც დღემდის თაყვანსა სცემდა კაცობრიობა, შოთა რუსთაველიდან და დანტედან დაწყებული შექსპირამდის, და მას თავისი ღმერთები ჰყავს აღსანიშნავია, რომ ჩვენს სიმბოლისტებს ჩვენშიაც კი აღმოუჩენიათ ღმერთები: გრ. რობაქიძე და პაოლო იაშვილი!

მაგრამ საკმაოა, წაიკითხოთ პაოლო იაშვილის „პირველთქმა“, რომ ის ლიტერატურულ მეტბარგად აღიაროთ. და საკმაოა წაიკითხოთ აგრეთვე გრიგოლ რობაქიძის „სირენას სიმღერა“, რომელიც მხოლოდ უსულოსა და ულამაზო რიტორიკას წარმოადგენს, რომ დარწმუნდეთ: პოეტობისათვის ცალიერი სურვილი არა კმარა, არამედ საჭიროა კიდევ ღვთივ მომადლებული შემოქმედებითი ნიჭი.

ვიტყვი მხოლოდ, რომ ხსენებული მიმართულება—ზნეობის გამხრწნელი და განმანადგურებელია, რადგან, როგორც მეცნიერება აღიარებს, მდაბიო სქესობრივი მგრძნობიერობით ოცნების, ფანტაზიის, აღგზნება წარმოშობს, როგორც გონების, აგრეთვე სხეულის უძლურებას.

მეორე მხრით მოვალედ ვსთვლით თავს შევებრძოლოთ ამ მიმართულებას არა მისტიციზმის დაჟანგებული იარაღით, არამედ მეცნიერების მახვილით და უარვყოფთ ყოველგვარ ცრუ მორწმუნოებას, როგორც წარმართულს, აგრეთვე თანამედროვეს.

და როგორც ძველ წარმართ სტოელთა, აგრეთვე მერმინდელ ფილოსოფოსთა და პოეტთაგან მხოლოდ იმას ვესესხულობთ რაც თანამედროვე მეცნიერებას ურიგდება და შეესაბამება

შორს ჩვენგან ყოველგვარი მისტიციზმი და ცრუმორწმუნოება! ჩვენ აღვიარებთ მხოლოდ მეცნიერებასა და მეცნიერებასთან შეთანხმებულ ზნეობას!

ისარი.

გამომცემელ ამხანაგობის „სამშობლო“-ს გამგეობის გადაწყვეტილებისამებრ გაზეთ „სამშობლო“ დაეთმობათ: სოფლის მასწავლებელთ 7 მან., ხოლო სოფლის სამკითხველოებს—6 მან., წელიწადში გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნახევარი წლითა და წლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასჯილთა და ღირსეულთა ეპისკოპოსთ: კირიონს, და ლეონიდს და აგრეთვე პიტირიმს, რომელმაც ტკბილი ხსოვნა და მოგონება დასტოვა მთელს საქართველოში, და რომლის იმედიც აქვს ამ ჟამად მთელს საქართველოს.

საღვთო სჯულის მასწავლებელთა საყურადღებოთ.

წარსული წლის დეკემბრის თვეში სახალხო მასწავლებელთა ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა. 1915 წლის უკანასკნელმა დღეებმა ქვეყანას ამცნო, რომ ქართველი სახალხო მასწავლებელი ღირსეული შვილია ტურფა და კეკლუცი საქართველოსი. ერთის მხრით 1915 წელს, კაცობრიობასთან ერთად, ქართველი ერი თუ წყევა-კრულვით მოიხსენიებს, მეორეს მხრით, ესევე წელი, ბევრს სასიამოვნო გრძნობას აღუძრავს მომავალ ქართველობას. 1915 წელმა შეაკავშირა მთელი დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებლები; ამ ღირსეულმა მოქმედებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენი შვილების გონიერ აღზრდას. ამიერიდან ბეჩავნი ჯოჯოხეთისანი ველარ მოერევიან ქართველ ერს. მასწავლებელთა კავშირს ორასზე მეტი კაცი დაესწრო ჩვენმა მოწინავე ინტელიგენციამაც გულ-მხურვალე მონაწილეობა მიიღო მასწავლებელთა კავშირში. ყველა ჩვენმა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა საგანგებოთ არჩეული პირები გამოგზავნეს და ახლად დაარსებულ მასწავლებელთა კავშირს დღეგრძელობა და ნაყოფიერი მუშაობა უსურვეს. ბევრი მასწავლებლათ ნამყოფი საპატიო წევრად ჩაეწერა და ას-ასი მანეთი შესწირა. სახალხო მასწავლებელთა ცხოვრებაში ასეთს დიდ მოვლენას ყველამ ანგარიში გაუწია მხოლოდ, სამწუხაროდ, სამღვდელოების მხრით, და მათ შორის სალმრთო სჯულის მასწავლებლებისა, თითქმის არვინ არ სჩანდა. მხოლოდ მარტო ოთხი თუ ხუთი მღვდელი იყო. ასეთ გულ გრილობას საერო საქმისადმი ჩვენ არავინ არ გვაპატიებს. სანამდის ჯერ კიდევ გვიან არ არის მოვუწოდებ ჩვენი სამღვდელოების იმ ნაწილს, რომელიც სახალხო მასწავლებელთან ერთად მძიმე უღელს ეწევა ქართველი მოზარდი თაობის აღზრდაში, ჩაეწერონ წევრათ მასწავლებელთა კავშირში და მით დაუმტკიცონ მასწავლებლებს ძმობა და ამხანაგობა.

მ ბჟაჩიძე

პროვინციის ცხოვრება.

დერჩის საზოგადოება (ლეჩხუმი). ნათქვამია—„სოფელი ვენახე უძაღლო, შიგ გაიარე უჯოხოდ", სწორეთ ჩვენ საზოგადოებაზეა გამოპრილი. ვინ გინდა, რომ ჩვენ ყირაზე არ გადადიოდეს, მაგრამ პასუხის მომთხოვი არავინა ჰყავთ და ეს უფრო ათამამებთ ასეთ ვაჟბატონებს, და სთლიან და სთლიან საზოგადოებას. არ იფიქროთ, რომ ამ საზოგადოებაში არ მოიძებნებოდენ ისეთი პირები, რომ ვერ ხედავდენ რაიმე უსამართლობას ან არ შეეძლოთ ასეთი უსამართლობის გამომჟღავნება, ან მათი წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ამას არავინ ფიქრობს, თუ კი მათ პირადათ არავინ უკბინა, ისე ხმას არ იღებენ და სხვისი ჯავრი ნაკლებათ აქვთ. პირიქით, ხელსაც კი აფარებენ, რომ პირადათ მათ ცოტა ისარგებლონ ასეთ სოფლის მჩაგვრელებთან.

უბრალო მაგალითს მოვიყვან: ამ ორი წლის წინად აგვარჩევიეს მამასახლისი. ვიცოდით, რაც ბიჭი იყო, მაგრამ...

მოექცა საზოგადოებას თავში და ყველაფერი იკადრა საზოგადოების დასამცირებლათ: ფული ზედმეტი იღო საზოგადოებისგან, ქრთამს ძლიერ ეტანებოდა. იყო ასეთი მაგალითი: სასალდათოს საწყალ კაცს, ობოლს, რომელსაც არაფერი მოეპოებოდა 30 მ. გადაახდევია, მაგრამ სალდათობისგან ვერ იხსნა. ვინც სიტყვას შეუბრუნებდა გინებას არ ერიდებოდა და მათრახსაც ზედ მიაყოლებდა, ასე გასინჯეთ, ქალსაც კი სცემა მათრახით ამ რაპინდმა. ახლა კი ჩამოერთვა ამ ბატონს მამასახლისობა და პასუხის გებაშია მიცემული, მაგრამ, შერცხვება კი ასეთ პირს რისამე?

დროა, გაიგონ არჩეულმა პირებმა, რომ საზოგადოება ირჩევს მათ არა დასაწიხლავათ, არამედ საზოგადოებაში კეთილი საქმის გასაწყობათ და უწესოების მოსასობათ.

რასხვა

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პეტროგრადი. საოლქო სასამართლოში ნაფიც ვექილთა თანადასწრებით გაირჩა სენსაციური საქმე მემამულე კორკოტოვის და ტურჩანინოვის, მათ ბრალდებოდათ სიყალბით მომგებიანი ბილეთებით ფულის გამოტანა. სასამართლომ მათ სამ-სამი თვის ციხე მიუსაჯა.

ლონდონი. 4 მარტი. რუსის ჟურნალისტების პირველი და მეორე ჯგუფი ინგლისის მთავარ ჯართა სადგომში მივიდენ.

კოპენჰაგენი. გერმანეთის რეიხსტაგში ლიბკნეხტმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც აღნიშნა, რომ გერმანელები სარაევოში მომხდარ მკვლელობას ციდან მოვლენილ უბედურებად სთვლიდენო, როცა ის ამდენი ყურადღების ღირსი არ იყოვო, ლიბკნეხტის სიტყვამ დიდი კამათი გამოიწვია; პრეზიდენტმა ლიბკნეხტს წესიერების დაცვა მოსთხოვა. დეპ. ტირპიცა რეიხსტაგიდან გავიდა. იგი იმპერიის კანცლერის ბეთმანჰოლვეგის მოპირდაპირე იყო.

კოპენჰაგენი. ბერლინიდან იუწყებიან,—გერმანეთის მთავრობამ აკრძალა საზღვარგარეთ ამანათების ფასდადებით გაგზავნა. გერმანეთის სამხედრო მთავრობამ ჯარში გაიწვია ბუკოვინისა და გალიციის ყველა მცხოვრებნი 18 წ. 50 წლამდე.

სუმენოვი. შესდგა მეფუტკრეთა ამხანაგობა, რომლის მიზანიც არის რუსეთის მეფუტკრობის გაუმჯობესება და შესაფერი ბაზრის მოპოება.

ათინა. მეფის რესკრიპტით, პეტროგრადში საბერძნეთის საქმეთა რწმუნებული კაკლამანოსი პარიზში გადაიყვანეს. წყალქვეშა შევიდა, მარმარილოს ზღვაში და დებერკედარს ყუმბარები დაუშინა.

პეტროგრადი. გამოცხადდა ახალი სახელმწიფო სესხი 2 მილიარდ მანეთისა.

ბუქარესტი. პრემიერმა ჯარისა და ჯარის უფროსთა სავალდებულოთ ახალი კანონ პროექტი გამოსცა.

ათინა. მოკავშირეთა საზღვაო მთავრობამ კორფუსსა და პატროხთან 22 სადარაჯო პუნქტი მოაწყო, რომლის მოვალეობაც არის გერმანეთის წყალქვეშების თვალყურის დევნება.

იტალია—ავსტრიის ასპარეზზე.

ავსტრიელთა ქვეითა ჯარი, არტილერიის მფარველობით შეეცადა როვერტისა და სუმანოს ველზე იერიშით წამოსვლას, მაგრამ იტალიელებმა უკუაგდეს.

მინსკი. ლიბავის უფროსმა მთავრობის მოხელეებისადმი ბრძანება გასცა სასტიკი თვალყური ადევნონ მცხოვრებთ.

კოპენჰაგენი. ვენიდან იუწყებიან ველედორფში აფეთქდა პატრონებისა და სხვა სასროლ მასალის მომზადებელი ქარხანა. აფეთქების დროს დაიღუპა 4 კაცი და დაშავდა ორი.

ტოკიო. (ჩინეთი რევოლუცია) გუანოსის პროვინციის რევოლუციონერთა ჯარი (10,000 კაცი) მთავრობის მხარეზე გადასულა.

ვერდენთან.

პარიზი. ჰავასის სააგენტო იუწყება—ვერდენთან ბრძოლა წინანდელი სიმკაცრით გრძელდება მაასის მარჯვენა ნაპირზე, გერმანელებმა რამდენიმე მძაფრი იერიში მოიტანეს, მაგრამ ფრანგებმა უკუაგდეს, საერთოდ ვერდენის ბრძოლის პირზე და მის ბედის წინამორბედათ არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

კოპენჰაგენი. დანეთის მთავრობამ სამეფოდან საზღვარგარეთ ნედლი მასალის გაზიდვა აკრძალა.

ქრისტიანია. ნორვეგიის ჰააგელი ელჩი სტოკჰოლმს გადაიყვანეს.

ჰააგა. პარლამენტში უკამათოდ მიიღეს კანონ-პროექტი, საზღვარგარეთზე გემების გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

ლონდონი. (ოფიციალური.) დიდი—ბრიტანეთის მთავარ ჯართ სადგომის ცნობა. საფრანგეთში საკმაოდ მძაფრი შეტაკება ხდებოდა ლოოსის აღმოსავლეთ-სამხრეთით, იპრის სამხრეთ-დასავლეთით სწარმოებდა ბრძოლა ხელით სასროლ ყუმბარებით.

ლონდონი. საღამოს ცნობა. საფრანგეთში პოპენტინლერნ-ა რედუტთან და ამიკურის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა.

ლონდონი. 5 მარტი. ადენთან ოსმალთა რაზმმა, რომელსაც გერმანეთის სამი აფიცერი ახლდა, ბრიტანეთის პოსტზე იერიში მიიტანა, მაგრამ დიდი ზარალით უკანვე გაბრუნდა.

ინგლისის რაზმი დაედევნა გაქცეულ ოსმალთ და 17 ტყვე წამოიყვანა. ინგლისელებს ორი კაცი მოუკლეს და 16 დაუჭრეს.

ბელგიაში.

პარიზი. საღამოს ცნობა. ბუსინგისა და უაზ ენოვის რაიონში ფრანგთა არტილერიამ მოსპო გერმანელთა ტრანშეები. ლოტარინგიაში გერმანელებმა ტიავილის რაიონში იერიშები მიიტანეს და ფრანგების სანგრებში შეიჭრენ, მაგრამ ფრანგებმა კონტრ-იერიშით უკუაგდეს. ბელგიელთა ცნობა. დიქსმიუდესთან ბრძოლა უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს ღებულობს.

ლონდონი. 4 მარტი. ლოიდის სააგენტო იუწყება ჰოლანდიის გემი სამხრეთის ზღვაში დაიღუპაო.

ბუქარესტი. სოფიიდან ხმა მოვიდა: ვითომ ცნობილ რადასლავოვის წინააღმდეგ შეთქმულობა აღმოეჩინოსთ. შეთქმულები მას მოკვლით ემუქრებოდენ.

პარიზი. ფოს რაიონში გერმანელებმა მძაფრი იერიშები დაიწყეს, მაგრამ უშედეგოთ.

ბუქარესტი. ინგლისის სანიტარული რაზმი რომელიც დღემდის სერბეთში მოქმედებდა, რუმინეთში გადმოვიდა და აქედან პეტროგრადს მიდის.

გერმანო-ბულგართა ჯარმა ნეიტრალობა დაარღვია, გადავიდა საბერძნეთის საზღვარს და დაიკავა სოფ. მაიდაგ სნოგიგაჩიკო და კუდიანა. გაიგო თუ არას საბერძნეთის მიწა-წყალზე გერმან ბულგართა შეჭრა ფრანგთა ჯარმა არტილერიის და ხმარებით ხსენებულ სოფლებიდან გამორეკა გერმანო-ბულგარელები და სოფლები თვითონ დაიჭირა.

ათინა. ერთად-ერთი სატელეგრაფო ძაფი რომელიც აერთებს საბერძნეთს ბულგარეთ-რუმინეთ-ოსმალეთთან, გერმანეთის მთავრობამ გასწყვიტა, საბერძნეთის მთავრობამ ზომები მიიღო ტელეგრაფის აღსადგენათ.

კოპენჰაგენი. გერმანეთის მთავრობამ ოფიციალად უარჰყო, რომ გემი „ტუბენტინა" გერმანეთის გოერარასის დაღუპულაო. დანეთის მთავრობამ აკრძალა სამეფოდან ფოლადეულობის გაზიდვა.

სპარსეთი.

თეირანი. ქ. ქერმიდან გერმან-ოსმალ-ავსტრელთა აგიტატორები ისფაჰანისაკენ გაემართენ მათ გზაში რუსეთის რაზმი შეეჩეხათ, რომელთაც აგიტატორები სრულიად ამოსწყვიტეს

ავსტრო იტალიის ასპარეზი.

რომი. ოფიციალური მთიან ადგილებში გრძელდებოდა მკაცრი საარტილერიო ბრძოლა, ავსტრიელნი ლანდროსკენ გაეშურენ სეინუს ზემოთ. იტალიელთა არტილერია რკინის გზის სადგურ ტობლახს უშენდა და საგრძნობი ზარალიც მიაყენა. ავსტრიელნი ხელით სასროლ ყუმბარებს ეკვეთნენ სანტომარიას-ტოლმინოს ოლქში, მაგრამ იტალიელებმა მოიგერიეს. ავსტრელთა ჰაეროპლანებმა პუნდომის მიდამოში ყუმბარები ჩამოჰყარეს.

სამწუხარო მოვლენა

რა უბედურობა, რა ჯურის უსამართლობა გნებავთ, რომ სულმხუთავ უძრავ ლოდივით თავს არ აწვეს და სიცოცხლეს არ უწამლავდეს საქართველოს სხვა და სხვა მხარეში მივარდნილ სოფლის ხალხს. სიბნელის მოტრფიალენი ასეთს მივარდნილ სოფლებში თავისუფლად დაფარფაშობენ და თუ ორიოდე სოფლის მოამაგე მოკეთენი დაინახვენ, ვინ იცის რა ხერხს არ მიმართვენ, ოღონდ კი ჩაქოლონ პატიოსანი და უმწიკვლო ადამიანი ბევრს არაფრად ესიამოვნება ეს ჩემი გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიტყვები, მაგრამ ნურას უკაცრავად დაე, ემცნოს ფართო საზოგადოებას ის ფრიად სამწუხარო ფაქტი, რომელიც იმ დღეებში მოხდა სოფელ გორდში.

ამ სოფელს 21 თებერვალს ეწვია ბ. მარტვილის ბოქაული, რომელსაც დავალებული ჰქონდა მაზრის უფროსისაგან, დაკითხოდა კინჩხის საზოგადოებას სურთ თუ არა მათ მიწერა ქუთაისის მაზრაზე. ვინაიდან ეს აზრი დიდი ხანია ტრიალებს ამ საზოგადოებაში. გამოწვეული ათასგვარი დაბრკოლებით, რასაც განიცდის ხალხი ამ საზოგადოების სენაკის მაზრაზე მიწერის გამო; საზოგადოებამ ერთხმად მუხლმოდრეკით შესთხოვა ბ. ბოქაულს, რომ ამ საქმეზე მას კიდეც ეშუამდგომლებია, სადაც ჯერ არის. ამ დღეს ბ. ბოქაულმა შეიწყნარა საზოგადოების ხვეწნა მუდარა და აღუთქვა დახმარება, მხოლოდ მეორე დღეს, დილით, 22-ს თებერვალს, მან დაიბარა ადგილობრივი მოძღვარი მამა რომანოზ ჩიხლაძე და ხალხის წინაშე შეურაცხყოფა მიაყენა, რადგანაც განაჩენი ხალხისათვის ამ ფრიად სასურველ საქმეზე, ადგილობრივი მამასახლისისა და საზოგადოების თხოვნით, მისი დაწერილი აღმოჩნდა. ბოქაულმა მას ასეთი შეურაცხყოფაც არ აკმარა, ეპისკოპოსთან საჩივარით დაემუქრა და თან ამ საქმის ჩაშლაც დაიკვება.

რასაკვირველია, დამსწრე პირნი ამ სამწუხარო მოვლენამ ძლიერ აალელვა და ააშფოთა: ვინაიდან ეს „მოძღვარი დიდათ იღწვის ამ სოფლის საკეთილდღეოთ. აბა, გადავფურცლოთ მისი დღიური და ვნახოთ რა უკეთებია მას ამ ხალხისათვის. ვიკითხოთ: ვინ ჩაუდგა საფუძველი საკრედიტო ამხანაგობას, რომელიც დღეს მკვიდრ-ჯეროვან ნიადაგზეა და პირნათლად ემსახურება თავის დანიშნულებას, ვინ გახსნა უფასო წიგნ-საცავ სამკითხველო და ან სამრევლო სკოლა, რომელშიაც არაა ურიგოდ დაყენებული სწავლა განათლების საქმე, ვინ შესწირა ერთი ქცევა მიწა არსებულ ორკლასან სამინისტრო სკოლას და ან ვინ ზრუნავს მის კეთილდღეობაზე; ან ვისი მეოხებით უნდა გაიხსნას ახლო მომავალში: მაღალი პირველდაწყებითი სასწავლებელი, კოპერატიული ამხანაგობა, ფოსტის კოოპერაცია, აფთიაქი და მრავალი სხვა, თუ არა მამა რომანოზის შემწეობით!

აი ასეთი დაუფასებელი ადამ ლავს ეს ღირს რედ რომ ს რომანოზი, ისე სხვა მოძღვრებიც სა ში უდგენ სოფლის ყოველივე კე რულსა და სიმპატიურ დაწესებ ასეთი გულ შემატკივარი პირების მე ბით გაიფურჩქნება მუდმივ ტანჯული ნი ბედშავი საქართველო და არა მწერლების გამრავლებით.

სტუდენ

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლ

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50
„	— საღამ.	—6 ს. 57
ბათომიდან	— დღისით	—1 ს. 25
„	— ღამის	— 2 ს. 23
ფოთიდან	— დილის	—10 ს. 8
ტყიბულიდან	—საღამოს	— 7 ს. 39
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 18

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	—დილის	— 11 ს. 55
„	— ღამის	— 1 ს. 7
ბათომისაკენ	— დღისით	—5 ს. 30
„	— დილის	— 4 ს. 27
ფოთისკენ	—დღისით	— 4 ს. 27
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 20
შორაპნისაკენ	—დღით.	— 5 ს. —

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახ
საზოგადოება

„რუსეთი" („როსსია")

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგ
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-
ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ზე
კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქა
ქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახ
მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
7 თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოების **დავით სიმონის ძე ლოლობერი**

ქუთაისი.
ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).
მიღებულია ვენახის ასაპრავი საუკ თეს
ქილი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეო ქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია.

სალი კუჭი
ჟელაგარი ექ. ვეზისა.
ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაბზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.
ქრონიკული ყაბზობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის ღებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას.
ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.
პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა გვიჩვენებს ჩვენ ახალსა და უტყუარ რადიკალურ გზას ყაბზობისა და მის მწვავე შედეგებისაგან გასაკურნავათ.
ჟელაგარი ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მათ ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ქვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგანა.
ჟელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისათვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფებისაგანაც კი.
პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.
დაწვრილებით **ბროშურა** კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება **უფასოთ.**
ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქ. ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** საფთიაქო მაღაზიაში.
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—6 კ.
[illegible]

ნებადართულია სამხედრო ც